პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 42 (5072) 1974 წ. 28 თებერვალი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




## როგორც სპარტაკიადას შეშვენის

კიდევ ერთი კვირა და ბაკურიანში სტარტს აიღებს სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა. საქართველოს „თეთრმა მარგალიტმა" ამ დიდი ღონისძიებისთვის მზადება თითქმის დაამთავრა, 20 თებერვლიდან კი ფინალური ტურნირის მონაწილე გუნდებსა და სპორტსმენებს კარი სტუმართმოყვრულად გაუღო. ბაკურიანს უკვე ეწვივნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების „მფრინავი მოთხილამურეები", ორპიდელები, მოციგავეები, სამთომოთხილამურეები. ისინი აქ ატარებენ ბოლო საწვრთნელ მეცადინეობებს, ამოწმებენ ნაგებობებს, აქტიურად მონაწილეობენ ტრასების მოწყობაში.



ამ ათიოდე დღის წინათ ბაკურიანში გამოჩნდა სპეციალური თოვლზე მავალი მანქანები, რომელთა უქონლობაც სწრაფდაშვების ტრასის მოწყობას აფერხებდა.

ბაკურიანი თანდათან ირთვება, კეკლუც დედოფალს ემგვანება, რომ სპარტაკიადას ისე შეხვდეს, როგორც შეშვენის. სასტუმრო, პანსიონატები, ბაზები სპორტსმენთა განკარგულებაშია. მალე აქ თავს მოიყრიან მსაჯები, სტუმრები, ჟურნალისტები. კორესპონდენტები უკვე 7 მარტს საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში ტელეფონებითა და ტელეტაიპით გადასცემენ ცნობებს ბრძოლის შედეგების შესახებ.

სურათებზე: საციგურაო ტრასის მოწყობის მომენტი; იტალიიდან მიღებული თოვლზე მავალი მანქანა სამუშაოდ მზადაა.

მ. ზაქარეიშვილის ფოტოები.

(ჩვენი სპეც. კორ.).



## „ხმას ვაძლევ ოლიმპიურ მოსკოვს"

— საბჭოთა სპორტსმენებს იმდენი ბრწყინვალე გამარჯვება აქვთ მოპოვებული დიდ შეჯიბრებებში — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე ოლიმპიურ თამაშებში, რომ თამამად შეიძლება ითქვას: მათ დაიმსახურეს საზაფხულო ოლიმპიადის მასპინძლობა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს (სიეპსი) გენერალურმა მდივანმა ჟ. ფალიზმა.

ნოემბერში მოსკოვში ჩატარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში". ფალიზი ამ კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და ამჟამად საბჭოთა კავშირის დედაქალაქშია სტუმრად.

— მოსკოვში პირველად არა ვარ, — თქვა ფალიზმა, — ორი წლის წინათ აქ სამეცნიერო კონგრესზე ვიყავი. მოსკოვში ბევრი საუცხოო სპორტული ბაზაა, ეს ბაზები თამამად გაუძლებენ „ოლიმპიურ შეტევას". პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში, აგრეთვე, ახალი სპორტული „ქალაქი" — ფიზკულტურის ინსტიტუტის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალი შენობები.

სამწუხაროდ, დიდ შეჯიბრებებს არც ერთხელ არ დავსწრებივარ — მე სპორტის თეორეტიკოსი ვარ და არა პრაქტიკოსი, მაგრამ ვიცი, რა კარგად აწყობთ სამეცნიერო კონფერენციებს სპორტის საკითხებზე, ამ ღონისძიებებზე კი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდის ხოლმე ხალხი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მეცნიერები მუდამ ძალიან კმაყოფილი რჩებიან ხოლმე, ხოლო თქვენს სტუმართმოყვარეობას რეკლამა არ სჭირდება.

ვფიქრობ, ჩემს შეხედულებას ბევრი გაიზიარებს. მე ხმას ვაძლევ ოლიმპიურ მოსკოვს.

## ნავსი გატყდა

**კიევი, 26 თებერვალი.** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და რიგის არმიელები.

უკრაინელი კალათბურთელები საკავშირო ჩემპიონატის თავისებური რეკორდსმენები არიან. მათ ზედიზედ 11 მატჩი წააგეს და ამჯერადაც ახლო იყვნენ მარცხთან. ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმი რიგელმა სპორტსმენებმა მოიგეს — 38:37.

ბრძოლა შესვენების შემდეგაც უაღრესად მძაფრი გამოდგა. მაგრამ უკრაინელებმა, როგორც იტყვიან, ნავსი გატეხეს და გაიმარჯვეს — 74:72.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გუნდებს შორის მეორე წრის მატჩშიც, რომელიც სამი თვის წინ ჩატარდა, ანგარიში ასეთივე იყო, ოღონდ რიგელთა სასარგებლოდ.

**მინსკი, 26 თებერვალი.** ადგილობრივი რტი-სა და მოსკოვის დინამოელთა ორთაბრძოლა სტუმრებმა მოიგეს — 85:63 (34:29).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 16 | 1539—1335 | 16 |
| „სპარტაკი" | 17 | 14 | 1292—1122 | 14 |
| „სტროიტ." | 18 | 11 | 1519—1438 | 11 |
| „კალევი" | 17 | 10 | 1359—1280 | 10 |
| „დინ." (მ.) | 17 | 9 | 1366—1333 | 9 |
| „დინ." (თბ.) | 16 | 7 | 1210—1237 | 7 |
| რტი | 17 | 5 | 1170—1382 | 5 |
| ასკ (რიგა) | 18 | 5 | 1381—1526 | 5 |
| „ჟალგირისი" | 17 | 5 | 1293—1337 | 5 |
| ასკ (კიევი) | 18 | 4 | 1345—1484 | 4 |

## სტარტზე გამოდიან რკინიგზელები

მარტის პირველ რიცხვებში სტარტს აიღებს და 12 მაისამდე გასტანს ამიერკავკასიის რკინიგზელთა სპარტაკიადა, რომელიც წლეულს მეშვიდედ ტარდება. ესაა წლევანდელი სპორტული სეზონის პირველი კომპლექსური ღონისძიება. ლოკომოტიველები სპორტის 9 სახეობაში იასპარეზებენ. გთავაზობთ სპარტაკიადის გრაფიკს:

ძალოსნობა. 1-3 მარტი. ერევანი.

ჭადრაკი. 15-20 მარტი. თბილისი.

თავისუფალი ჭიდაობა. 22-24 მარტი. თბილისი.

ფრენბურთი. 29-31 მარტი. ლენინაკანი.

ფარიკაობა. 29-31 მარტი. ქუთაისი.

მაგიდის ჩოგბურთი. 5-7 აპრილი. სამტრედია.

ნიჩბოსნობა. 19-21 აპრილი. ერევანი.

მძლეოსნობა. 26-28 აპრილი. თბილისი.

კრივი. 10-12 მაისი. ქუთაისი.

## ძალ-ღონის დაუზოგავად...

საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალურ სტარტებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ბაკურიანში მზადება მთავრდება. ამას წინათ აქ გაიმართა ნაკრები გუნდების წევრთა კრება, რომელიც სპარტაკიადისთვის მზადების საკითხს მიეძღვნა.

კრებაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სპორტსმენები მზად არიან ფინალური შეხვედრისთვის. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ ნაკრები გუნდის წევრების სახელით გამოთქვა რწმენა, რომ, როგორც მუდამ, საქართველოს სპორტსმენები ახლაც ჩვეული შემართებით, სიმტკიცით იასპარეზებენ, ძალ-ღონეს არ დაზოგავენ წარმატების მოპოვებისთვის.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. პერტენავა.

23 თებერვალს საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის 56 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს და მოსკოვის ნაკრები გუნდების წევრებმა შეხვედრა მოუწყვეს ომის ვეტერანებს, გმირი ქალაქების — ნოვოროსიისკისა და ქერჩის განთავისუფლების მონაწილეებს, ბორჯომის რაიონის მკვიდრებს — თადარიგის კაპიტან ვ. კიკნაძეს და თადარიგის მაიორ გ. კუპრაძეს.

სტუმრებმა სპორტსმენებს უამბეს საბჭოთა არმიის გმირულ გზაზე, მოიგონეს ფრონტული ცხოვრების ეპიზოდები.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

## საქართველოს პროფსაბჭოში

# განვამტკიცოთ შრომითი და საფინანსო დისციპლინა

სპორტულ საზოგადოებებსა და სპორტულ სკოლებში შრომითი და ფინანსური დისციპლინის განმტკიცებას მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამ დღეებში თბილისში საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების თაოსნობით გაიმართა.

თათბირზე მიწვეული იყვნენ სპორტული საზოგადოებების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, განყოფილებათა გამგეები და სპორტული სკოლების დირექტორები.

ფინანსური დისციპლინის განმტკიცების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პროფსაბჭოს საფინანსო-საგეგმო განყოფილების გამგე კ. ტვილდიანი.

მან აღნიშნა, რომ რიგ ორგანიზაციებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაკების საშტატო ერთეულებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ, არის უკანონო შეთავსებებისა და შტატების გაყოფის შემთხვევები. წლების მანძილზე ფეხბურთის გუნდებზე გაუმართლებლად იხარჯებოდა დიდძალი თანხა, უხეში შეცდომები იყო დაშვებული ფეხბურთის ფასიანი აბონემენტებისა და კვების ტალონების დამზადება-რეალიზაციის საქმეში. სპორტულ საზოგადოებებში ხელოვნურად ზრდიდნენ სპორტული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვას, შემდეგ კი, ფიქტიური დოკუმენტებით ცდილობდნენ მის დაფარვას. არის დებიტორული დავალიანების შემთხვევები მწვრთნელებსა და საზოგადოებათა პასუხისმგებელ მუშაკებს შორის.

კ. ტვილდიანი შეეხო სპორტული სკოლების მუშაობის საკითხს. მან თქვა, რომ პროფსაბჭო ამ სკოლების დასაფინანსებლად და მატერიალურად განსამტკიცებლად სახსრებს არ ზოგავს, შედეგი კი უმნიშვნელოა. სსრ კავშირში ერთ-ერთი უდიდესია საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა. დიდძალი თანხა იხარჯება, მაგრამ მწვრთნელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მინდობილ საქმეს, ვერ ამზადებენ მაღალი კლასის სპორტსმენებს. არადამაკმაყოფილებელია პროფსაბჭოს ძალოსნობისა და „განთიადის" ცურვის სპორტული სკოლების საქმიანობაც.

ხელმძღვანელი მუშაკების პირად მაგალითზე, კადრების შერჩევასა და განაწილებაში პასუხისმგებლობის ამაღლებაზე ილაპარაკა პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ბოჭორიძემ.

მან თქვა, რომ ზოგიერთმა მუშაკმა დღემდე ვერ გარდაქმნა მუშაობა, მწვრთნელთა უმრავლესობას არ შესწევს მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების უნარი. ი. ბოჭორიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელები უუნარო მუშაკებისადმი შემრიგებლობას იჩენენ. მწვრთნელებს უფრო მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი, სპორტულ საზოგადოებებში სისტემატურად უნდა ისმენდნენ მწვრთნელების, პროფსაბჭოში კი — საზოგადოებათა თავმჯდომარეების ანგარიშებს. ამავე დროს, ფართოდ უნდა განვაზოგადოთ მოწინავეთა გამოცდილება. მუშაობა ყველგან გეგმიანი უნდა იყოს. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, მათს სრული დატვირთვით გამოყენებას.

საქართველოს პროფსაბჭოს შარშანდელ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წყალში მხტომელთა გუნდი მხოლოდ „განთიადმა" გამოიყვანა. სპორტულ ტანვარჯიშში სპორტის ოსტატის ნორმატივი ვაჟთა 6 გუნდიდან ვერც ერთმა კაცმა ვერ შეასრულა.

ითქვა ისიც, რომ სპორტული შეჯიბრებები დაბალ ორგანიზაციულ დონეზე ტარდება, რაც იმითაცაა გამოწვეული, რომ სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელები ამ ღონისძიებებს იშვიათად ესწრებიან.

თათბირმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც პროფკავშირელ სპორტსმენებს ხელს შეუწყობს სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისა და ოლიმპიური თამაშებისთვის წარმატებით მომზადებაში.

ვ. სინჯარაძე.

# ფეხბურთი-74

# სსრ კავშირის პირველობის კალენდარი

## პირველი წრე

**11 აპრილი**

„ტორპედო" (ქუთაისი) — „კუზბასი" (კემეროვო)
„პამირი" (დუშანბე) — „ზვეზდა" (პერმი)
„სტროიტელი" (აშხაბადი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)
„ნეფთჩი" (ბაქო) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი)
„სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „დინამო" (მინსკი)
ასკ (როსტოვი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)
„ყუბანი" (კრასნოდარი) — „შინიკი" (იაროსლავლი)
„სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე)

**15 აპრილი**

„ტორპედო" — „ურალმაში"
„პამირი" — „კრ. სოვეტოვი"
„სტროიტელი" — „ზვეზდა"
„ნეფთჩი" — „კუზბასი"
„სპარტაკი" ნ. — „დინამო"
„სპარტაკი" ო. — „ლოკომოტივი"
ასკ — „შინიკი"
„ყუბანი" — „ტექსტილშჩიკი"
„ტავრია" (სიმფეროპოლი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი)

**22 აპრილი**

„შინიკი" — „ტორპედო"
„სპარტაკი" ნ. — „სპარტაკი" ო.
„ტექსტილშჩიკი" — „ნეფთჩი"
„დინამო" — „პამირი"
„ლოკომოტივი" — „სტროიტელი"
„კრ. სოვეტოვი" — „მეტალურგი" ლ.
„ზვეზდა" — „მეტალურგი" ზ.
„ურალმაში" — „სპარტაკი" ი. ფ.
„კუზბასი" — „ტავრია"

**26 აპრილი**

„ტექსტილშჩიკი" — „ტორპედო"
„სპარტაკი" ო. — „ყუბანი"
ასკ — „სპარტაკი" ნ.
„შინიკი" — „ნეფთჩი"
„დინამო" — „სტროიტელი"
„ლოკომოტივი" — „პამირი"
„კრ. სოვეტოვი" — „მეტალურგი" ზ.
„ზვეზდა" — „მეტალურგი" ლ.
„ურალმაში" — „ტავრია"
„კუზბასი" — „სპარტაკი" ი. ფ.

**2 მაისი**

„ტორპედო" — „ლოკომოტივი"
„პამირი" — „შინიკი"
„სტროიტელი" — „ტექსტილშჩიკი"
„ნეფთჩი" — „დინამო"
„სპარტაკი" ნ. — „ყუბანი"
„სპარტაკი" ო. — ასკ
„ტავრია" — „ზვეზდა"
„სპარტაკი" ი. ფ. — „კრ. სოვეტოვი"
„მეტალურგი" ზ. — „ურალმაში"
„მეტალურგი" ლ. — „კუზბასი"

**7 მაისი**

„ტორპედო" — „დინამო"
„პამირი" — „ტექსტილშჩიკი"
„სტროიტელი" — „შინიკი"
„ნეფთჩი" — „ლოკომოტივი"
„ყუბანი" — ასკ
„ტავრია" — „კრ. სოვეტოვი"
„სპარტაკი" ი. ფ. — „ზვეზდა"
„მეტალურგი" ზ. — „კუზბასი"
„მეტალურგი" ლ. — „ურალმაში"

**15 მაისი**

„კრ. სოვეტოვი" — „ტორპედო"
„ურალმაში" — „სტროიტელი"
„კუზბასი" — „პამირი"
„ზვეზდა" — „ნეფთჩი"
„დინამო" — ასკ
„ლოკომოტივი" — „ყუბანი"
„შინიკი" — „სპარტაკი" ნ.
„ტექსტილშჩიკი" — „სპარტაკი" ო.
„სპარტაკი" ი. ფ. — „მეტალურგი" ლ.
„მეტალურგი" ზ. — „ტავრია"

**19 მაისი**

„ზვეზდა" — „ტორპედო"
„ურალმაში" — „პამირი"
„კუზბასი" — „სტროიტელი"
„კრ. სოვეტოვი" — „ნეფთჩი"
„დინამო" — „ყუბანი"
„ლოკომოტივი" — ასკ
„შინიკი" — „სპარტაკი" ო.
„ტექსტილშჩიკი" — „სპარტაკი" ნ.
„მეტალურგი" ლ. — „მეტალურგი" ზ.
„ტავრია" — „სპარტაკი" ი. ფ.

**25 მაისი**

„ტორპედო" — „მეტალურგი" ლ.
ასკ — „კრ. სოვეტოვი"
„ყუბანი" — „ზვეზდა"
„შინიკი" — „ტექსტილშჩიკი"
„ნეფთჩი" — „მეტალურგი" ზ.
„სპარტაკი" ნ. — „კუზბასი"
„სპარტაკი" ო. — „ურალმაში"
„პამირი" — „სპარტაკი" ი. ფ.
„სტროიტელი" — „ტავრია"

**29 მაისი**

„ტორპედო" — „მეტალურგი" ზ.
„ლოკომოტივი" — „დინამო"
ასკ — „ზვეზდა"
„ყუბანი", — „კრ. სოვეტოვი"
„სპარტაკი" ნ. — „ურალმაში"
„სპარტაკი" ო. — „კუზბასი"
„ნეფთჩი" — „მეტალურგი" ლ.
„პამირი" — „ტავრია"
„სტროიტელი" — „სპარტაკი" ი. ფ.

**4 ივნისი**

„ტორპედო" — „პამირი"
„სტროიტელი" — „ნეფთჩი"
„ტავრია" — ასკ
„სპარტაკი" ი. ფ. — „ყუბანი"
„მეტალურგი" ზ. — „სპარტაკი" ო.
„მეტალურგი" ლ. — „სპარტაკი" ნ.
„კრ. სოვეტოვი" — „დინამო"
„ზვეზდა" — „ლოკომოტივი"
„ურალმაში" — „შინიკი"
„კუზბასი" — „ტექსტილშჩიკი"

**8 ივნისი**

„ნეფთჩი" — „ტორპედო"
„პამირი" — „სტროიტელი"
„ტავრია" — „ყუბანი"
„სპარტაკი" ი. ფ. — ასკ
„მეტალურგი" ზ. — „სპარტაკი" ნ.
„მეტალურგი" ლ. — „სპარტაკი" ო.
„კრ. სოვეტოვი" — „ლოკომოტივი"
„ზვეზდა" — „დინამო"
„ურალმაში" — „ტექსტილშჩიკი"
„კუზბასი" — „შინიკი"

**15 ივნისი**

„ყუბანი" — „ტორპედო"
„ურალმაში" — „კრ. სოვეტოვი"
„ზვეზდა" — „კუზბასი"
„დინამო" — „სპარტაკი" ი. ფ.
„ლოკომოტივი" — „ტავრია"
„შინიკი" — „მეტალურგი" ზ.
„ტექსტილშჩიკი"—„მეტალურგი" ლ.
ასკ — „ნეფთჩი"
„სპარტაკი" ნ. — „სტროიტელი"
„სპარტაკი" ო. — „პამირი"

**19 ივნისი**

ასკ — „ტორპედო"
„კუზბასი" — „კრ. სოვეტოვი"
„ზვეზდა" — „ურალმაში"
„დინამო" — „ტავრია"
„ლოკომოტივი" — „სპარტაკი" ი. ფ.
„შინიკი" — „მეტალურგი" ლ.
„ტექსტილშჩიკი"—„მეტალურგი" ზ.
„ყუბანი" — „ნეფთჩი"
„სპარტაკი" ნ. — „პამირი"
„სპარტაკი" ო. — „სტროიტელი"

**25 ივნისი**

„ტორპედო" — „სპარტაკი" ო.
„პამირი" — „ყუბანი"
„სტროიტელი" — ასკ
„ნეფთჩი" — „სპარტაკი" ნ.
„ტავრია" — „შინიკი"
„სპარტაკი" ი. ფ. — „ტექსტილშჩიკი"
„მეტალურგი" ზ. — „დინამო"
„მეტალურგი" ლ. — „ლოკომოტივი"
„კრ. სოვეტოვი" — „ზვეზდა"

**29 ივნისი**

„ტორპედო" — „სპარტაკი" ნ.
„პამირი" — ასკ
„სტროიტელი" — „ყუბანი"
„ნეფთჩი" — „სპარტაკი" ო.
„ტავრია" — „ტექსტილშჩიკი"
„სპარტაკი" ი. ფ. — „შინიკი"
„მეტალურგი" ზ. — „ლოკომოტივი"
„მეტალურგი" ლ. — „დინამო"
„ურალმაში" — „კუზბასი"

**4 ივლისი**

„ტორპედო" — „სტროიტელი"
„სპარტაკი" ნ. — „ტავრია"
„სპარტაკი" ო. — „სპარტაკი" ი. ფ.
ასკ — „მეტალურგი" ზ.
„ყუბანი" — „მეტალურგი" ლ.
„შინიკი" — „კრ. სოვეტოვი"
„ტექსტილშჩიკი" — „ზვეზდა"
„დინამო" — „კუზბასი"
„ლოკომოტივი" — „ურალმაში"

**8 ივლისი**

„პამირი" — „ნეფთჩი"
„სპარტაკი" ნ. — „სპარტაკი" ი. ფ.
„სპარტაკი" ო. — „ტავრია"
ასკ — „მეტალურგი" ლ.
„ყუბანი" — „მეტალურგი" ზ.
„შინიკი" — „ზვეზდა"
„ტექსტილშჩიკი" — „კრ. სოვეტოვი"
„დინამო" — „ურალმაში"

**9 ივლისი**

„ლოკომოტივი" — „კუზბასი"

**15 ივლისი**

„სპარტაკი" ი. ფ. — „ტორპედო"
„ტავრია" — „ნეფთჩი"
„მეტალურგი" ზ. — „სტროიტელი"
„მეტალურგი" ლ. — „პამირი"
„შინიკი" — „ლოკომოტივი"
„ტექსტილშჩიკი" — „დინამო"
„კრ. სოვეტოვი" — „სპარტაკი" ნ.
„ზვეზდა" — „სპარტაკი" ო.
„ურალმაში" — „ყუბანი"
„კუზბასი" — ასკ

**19 ივლისი**

„ტავრია" — „ტორპედო"
„სპარტაკი" ი. ფ. — „ნეფთჩი"
„მეტალურგი" ზ. — „პამირი"
„მეტალურგი" ლ. — „სტროიტელი"
„დინამო" — „შინიკი"
„ლოკომოტივი" — „ტექსტილშჩიკი"
„კრ. სოვეტოვი" — „სპარტაკი" ო.
„ზვეზდა" — „სპარტაკი" ნ.
„ურალმაში" — ასკ
„კუზბასი" — „ყუბანი"



თ. ხატიაშვილი, გ. კახელიშვილი, ი. ზელილოვი, ი. ჯუღელი, ა. აფრიამაშვილი, ი. მელქაძე, მ. ლეჟავა, თ. მაჭავარიანი, მ. სალაძე, ნ. მირაქოვი.

# სასარგებლო ტურნირი

ეს ჩემპიონატი რესპუბლიკის სპორტულ შეჯიბრებათა კალენდრის მიხედვით თებერვლის დასაწყისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი საქართველოს თითქმის ყველა წამყვანმა სპორტსმენმა გამოთქვა, იგი თებერვლის ბოლოსთვის გადმოიტანეს (მანამდე ჩვენი მოწინავე ათლეტები სხვადასხვა ტურნირში იყვნენ დაკავებული). თარიღის გადაწევამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „კლასიკოსთა" რესპუბლიკური ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებას.

შეჯიბრება საინტერესო გამოდგა. ეს ტენდენცია უკვე კარგა ხანია იგრძნობა საქართველოს კლასიკოსთა ყოველდღიურ საქმიანობაში. ალბათ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ შარშან ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა საკავშირო თასი მოიპოვა, ახალგაზრდულმა გუნდმა I ადგილი დაიკავა, ხოლო დინამოელებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიგეს.

უდავოდ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ჩემპიონატში ძალა სცადა ყველამ, ვინც ამ დროს თბილისში იყო და თავს გადატვირთულად არ გრძნობდა. მაყურებლებს საშუალება ჰქონდათ ენახათ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ თ. მაჭავარიანის, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონ მ. სალაძის, ამავე ტურნირის პრიზიორების — ნ. ბაბიაშვილის, თ. აფხაზავას და სხვათა გამოსვლები.

ტურნირის მონაწილეებმა გამოავლინეს კარგი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება. დავასახელოთ თუნდაც 62 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენელი, თბილისელი რ. აბრამიშვილი, რომელსაც გადაეცა პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის.

48 კგ წონითი კატეგორია საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში ყველაზე სუსტი წონაა. ჯერჯერობით აქ იმედებს გვაძლევს მხოლოდ თ. ხატიაშვილი, მაგრამ ერთი მაღალი კლასის ოსტატით ფონს გასვლა ძნელია. ჩემპიონატის მსვლელობაში გამოვლინდა რამდენიმე ნიჭიერი, იმედის მომცემი სპორტსმენი. სპეციალისტთა საერთო მოწონება დაიმსახურა სპორტის ოსტატმა ი. ჯუღელმა (62 კგ). იგი გამოირჩევა დიდი შრომისმოყვარეობით, ინტერესით, თავის მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს რაიონების წარმომადგენლებმაც: რ. რობაქიძემ (თერჯოლა), რ. კუჭავამ (ჭიათურა), ი. ზელილოვმა (სოხუმი), გ. კუპრაძემ (მახარაძე), გ. აკოფოვმა (ქუთაისი) და სხვ.

როგორც მოსალოდნელი იყო, 90 კგ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო თ. მაჭავარიანმა. წმინდად მოიგეს ფინალური შეხვედრები: თ. ხატიაშვილმა, გ. კახელიშვილმა, მ. შვანგირაძემ, ნ. მირაქოვმა, მ. სალაძემ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ ის მხარდაჭერა და დახმარება, რომელიც ჩემპიონატის მონაწილეებს გაუწია უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჭიდაობის რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სკოლამ (დირექტორი გ. საღარაძე). სწორედ ამ სკოლის დამსახურებაა ის, რომ ფალავანთა კლუბი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა შეჯიბრების მონაწილეებს.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. თ. ხატიაშვილი (თბილისი), 2. ტ. დოღონაძე, 3. ი. კახაია (ორივე — ქუთაისი).

52 კგ. 1. გ. კახელიშვილი (თბილისი), 2. ტ. კოღუაშვილი (ქუთაისი), 3. ა. კაროვი (თბილისი).

57 კგ. 1. ი. ზელილოვი (სოხუმი), 2. მ. შვანგირაძე, 3. გ. თავაძე (ორივე — თბილისი).

62 კგ. 1. ი. ჯუღელი, 2. რ. აბრამიშვილი, 3. ტ. წინწალაშვილი (სამივე — თბილისი).

68 კგ. 1. ა. აფრიამაშვილი (თბილისი), 2. თ. ბაბუხადია (ქუთაისი), 3. ი. ცანავა (თბილისი).

74 კგ. 1. ი. მელქაძე, 2. პ. ოდიშვილი (ორივე — თბილისი), 3. გ. კუპრაძე (მახარაძე).

82 კგ.1. მ. ლეჟავა, 2. გ. ტოგონიძე, 3. გ. როჭიკაშვილი (სამივე — თბილისი).

90 კგ. 1. თ. მაჭავარიანი, 2. გ. დოგუზაშვილი, 3. ე. ფარჯანაძე (სამივე — თბილისი).

100 კგ. 1. მ. სალაძე, 2. მ. მორჩილაძე, 3. ნ. ბაბიაშვილი (სამივე — თბილისი).

მძიმე. 1. ნ. მირაქოვი (თბილისი), 2. გ. აკოფოვი (ქუთაისი), 3. ა. ნატროშვილი (რუსთავი).

**ო. ჩხაიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

## რაიონებში [illegible]

**რუსთავი**

აქ, ბავშვთა სპორტსკოლის ბაზებზე, მიმდინარეობს მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადა. ასპრეზობის პროგრამაში შეტანილია მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ტანვარჯიში, ცურვა, მძლეოსნობა და სროლა. სკოლები სიძლიერის მიხედვით დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში უკვე დამთავრდა შეჯიბრებები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში. პირველ ქვეჯგუფში ყველას აჯობეს მე-15 სკოლის მაგიდის ჩოგბურთელებმა და მე-17 სკოლის მოჭადრაკეებმა. ფრენბურთში I ადგილებზე გავიდნენ მე-19 სკოლის გოგონები და მე-9 სკოლის ჭაბუკები. მეორე ქვეჯგუფში მაგიდის ჩოგბურთში პირველნი იყვნენ მე-14, ჭადრაკში — მე-10 სკოლების წარმომადგენლები. ფრენბურთში პირველობა არავის დაუთმეს მე-16 სკოლის გოგონებმა და მე-12 სკოლის ჭაბუკებმა.

**უ. ფილიევი,**
მე-17 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

# წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ა. გოგიტიძეს (ბათუმის „კოლმეურნე"), ა. გასეევს (ცხინვალის „კოლმეურნე"), მ. შალუაშვილს (გურჯაანის „კოლმეურნე"), ტ. ებიტაშვილს (დუშეთის „კოლმეურნე"), მ. მეფარიშვილს (სოხუმის „კოლმეურნე"), თ. ბოლოთაშვილს (გორის „განთიადი"), გ. გელაძეს, მ. ლალაძეს, ზ. ჩხიკვაძეს, ვ. ხეცურიანს (ოთხივე — ქუთაისის „განთიადი"), გ. მაჭარაშვილს (რუსთავის „განთიადი"), ნ. ადლეიბას (ტყვარჩელის „განთიადი"), ო. ბიტიევს (ცხინვალის „განთიადი"), ე. მარუაშვილს, ზ. მჭედლიძეს (ორივე — ქუთაისის „დინამო"), ე. დანელიას (ქუთაისის „ბურევესტნიკი"), ზ. ჯაბიძეს (ქუთაისის „სპარტაკი"), ნ. მეტრეველს (ონი), გ. ხარებავას (სოხუმის „შრომითი რეზერვები"); **საცხენოსნო სპორტში** — ზ. წურწუმიას (ზუგდიდის „კოლმეურნე"), ვ. შაკრილს (გუდაუთის „კოლმეურნე"), ნ. ლაბაშიას (გალის „კოლმეურნე"); **მძლეოსნობაში** — ა. ბერიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **საწყლოსნო სლალომში** — ი. ამეტოვს, ო. მარეხაშვილს (ორივე — მცხეთის „ლოკომოტივი"), ს. ციცქიშვილს (თბილისის „შრომითი რეზერვები"); **ჭადრაკში** — ა. ტუზოვსკის (სოხუმის „დინამო"); **ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში** — ვ. სოსელიას (მცხეთის „ბურევესტნიკი"), ზ. არეშოვს (მცხეთის „ლოკომოტივი"), ნ. ვალეშნიაიას (ბათუმი, განათლების სამინისტრო), ს. თათევოსიანს (ბათუმის „დინამო"); **ასუჭრიან შაშში** — ს. თომაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **კალათბურთში** — ი. ნარიმანიძეს, ი. ჯანაშიას (ორივე — თბილისის „დინამო"); **ველოსპორტში** — შ. ჭკუასელს (თბილისის „დინამო"), ბ. კილასონიას, ა. ხახიაურს (ორივე — თბილისის „სპარტაკი"); **ფრენბურთში** — ვ. ტკაჩენკოს, ვ. დოროხოვს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"); **ბატუტზე ხტომაში** — ც. სურგულაძეს (ქუთაისის „განთიადი"); **ჩოგბურთში** — მ. ელერდაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი").





# ცენტრალური წრე

**ვ. ივანოვი**

**ვ. მასლოვი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## რამდენიმე სიტყვა ქუდბედიან კაცზე

ვალენტინ ივანოვის სპორტული ბიოგრაფია იღბლიანად წარიმართა. მისი ცხოვრების გზა მხოლოდ აღმავლობაა, არც ზიგზაგები იცის და არც უკან დახევა. თვრამეტი წლისა უკვე ოსტატთა გუნდში თამაშობდა, თანაც თითქმის თავიდანვე — ძირითად შემადგენლობაში, ოცდაერთისა ნაკრების წევრი გახდა, ოცდაორისა — ოლიმპიური ჩემპიონი და სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოცდაოთხისა — ევროპის თასის მფლობელი და „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალერი, ოცდაექვსისა — ნაკრების კაპიტანი.

ჩვენ ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი გვყავდა ორმოცდაათიანი წლების შუა პერიოდამდე. გვყავდა უფრო გვიანაც, სამოციანი წლების მეორე ნახევარში, გვყავს ახლაც. მაგრამ მართლა ქუდბედი უნდა დაგყოლოდა კაცს, რომ „გამოგეცნო" სწორედ ის პერიოდი, საბჭოთა ფეხბურთის ყველაზე მძლავრი აყვავებისა და დიდების ხანა. არც მანამდე და არც შემდეგ საბჭოთა ფეხბურთს ასეთი წარმატება და აღიარება არ ღირსებია.

მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, ივანოვი მწვრთნელად მუშაობს. კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირი არაფერია: ასეთია თითქმის ყველა ცნობილი ფეხბურთელის გზა. მაგრამ ალბათ ასში ერთს თუ ხვდომია ბედნიერება თავიდანვე სწორედ იმ გუნდს ჩასდგომოდა სათავეში, სადაც მთელმა მისმა ცხოვრებამ — მოთამაშის ცხოვრებამ — განვლო, ხოლო ის ხომ სულ უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ათასში ერთიც ვერ შეძლებს ასე სწრაფად მიიყვანოს გუნდი ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებამდე და საბჭოთა კავშირის თასიც მოაპოვებინოს.

ოჯახური ცხოვრებაც მუდამ საათივით ჰქონდა აწყობილი: ცოლი და ქმარი — სახელგანთქმული სპორტსმენები, ორი შვილი, ბიჭი და გოგო — ასევე უკვე სპორტთან დამეგობრებული... მუდამ სიამტკბილობა, მუდამ მშვიდობა და ერთმანეთის სიამოვნება, სახლი — მუდამ დოვლათითა და ბარაქით სავსე... ერთი სიტყვით, სანიმუშო ოჯახი აქვს, გინდაც სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიტანე სამაგალითო სასადილოების, ბიბლიოთეკებისა და ფერმების გვერდით.

ბედნიერები განა მარტო საათებს არ ითვლიან. ბედნიერები, როგორც წესი, საერთოდაც არ არიან დაკვირვებულნი. ცხოვრება, განსაკუთრებით წარსული, მათთვის, ჩვეულებრივ, ვარდისფერ საბურველშია გახვეული. და ეს გასაგებიცაა. სიძნელეებთან ბრძოლისა და ყოველგვარი გასაჭირის გადატანის აუცილებლობა — აი, რა აიძულებს ადამიანთა უმეტესობას ჩასწვდეს მოვლენათა არსს, ჩასწვდეს მათს ფესვებს, აი, რა ბადებს ანალიზისკენ სწრაფვასა და საგნების მიმართ კრიტიკულ მიდგომას. ბედნიერი ადამიანი ყველაფრით კმაყოფილია. იგი ამ ქვეყანას თავისი ბედნიერების მწვერვალიდან დაჰყურებს და ყოველგვარი ნაკლი წვრილმანად ეჩვენება, ირგვლივ მყოფი ადამიანები კი ისეთივე ბედნიერები ჰგონია, როგორიც თვითონ არის, და აი, თქვენ, მკითხველო, ხელთ იღებთ ვალენტინ ივანოვის წიგნს დაწერილს ფეხბურთზე, თამაშზე, რომელიც მილიონობით ადამიანს აიძულებს განიცადოს სიხარული და წუხილი, გაატაროს მრავალი დღე და საათი ტელევიზორთან და სტადიონზე, ფეხბურთზე საუბარსა და ფიქრში, ფეხბურთისთვის დათმოს მნიშვნელოვანი საქმეები, საყვარელ ადამიანებთან და მეგობრებთან შეხვედრები; თამაშზე, რომელიც უბრალოა, რადგან ყველასთვის ხელმისაწვდომი სანახაობაა, და საიდუმლოებით მოცულია, რადგან მის შესახებ ყველას თავისი, განსაკუთრებული აზრი აქვს; თამაშზე, რომელმაც დაიპყრო არა ცალკეული ქვეყნები, არამედ მთელი მატერიკებიც; თამაშზე, რომელიც საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულებს ბოლო ხანებში გულისტკივილს გაცილებით მეტს განაცდევინებს, ვიდრე კმაყოფილებას.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ წიგნის უკანასკნელი ფურცელი უკვე ჩაიკითხეთ. რას იტყოდით, ამის შემდეგ ისეთი გრძნობა რომ დაგრჩენოდათ, თითქოს ტკბილი, შაქარწყალში ამოვლებული ნამცხვარი ჩაგეკბიჩოთ? დარწმუნებული ვარ, გულგატეხილი და განაწყენებული დარჩებოდით. თქვენ ამგვარ „სასუსნავს" როდი ელით ფეხბურთზე ლაპარაკისგან.

ნუ ღელავთ! ამ მხრივ თქვენი შიში უსაფუძვლოა. მე არ უარვყოფ, რომ წიგნმა შეიძლება ბევრი სხვადასხვა გრძნობა გამოიწვიოს — ავტორს უთუოდ გამოუჩნდებიან მოკავშირეებიცა და ოპონენტებიც. მაგრამ თქვენ იძულებული იქნებით აღიაროთ, რომ ავტორი შორსაა თვითკმაყოფილებისგან, რომ მას შეუძლია ცხოვრებას ვარდისფერი სათვალის გარეშე უყუროს. ერთი სიტყვით, იძულებული იქნებით აღიაროთ, რომ ივანოვი, ასე ვთქვათ, არატიპური, იღბლიანი კაცია.

მაგრამ იქნებ თვით ეს სიტყვა — „იღბლიანი" — მთლად არ შეეფერება ვალენტინ ივანოვს? იქნებ ეს მუდმივი უღრუბლო ცის შთაბეჭდილება წმინდა გარეგნულია? ვფიქრობ, სწორედ ასეა.

იგი 7 წლისა იყო, როცა ომი დაიწყო. მამას ევაკუაცია უყვეს და კუიბიშევში გაგზავნეს, დედა ოთხი ბავშვით — სამი ბიჭითა და ერთი გოგოთი — მოსკოვში დარჩა. მას შემდეგ შვილებს მამა აღარ უნახავთ. ვალენტინი ოთხ და-ძმაში ყველაზე უმცროსი იყო. ძმებს შორის მხოლოდ მან შეძლო მუშაობის დაწყებამდე შვიდწლედის დამთავრება. ორი უფროსი ბავშვობიდანვე შრომობდა, შინ სამუშაო ბარათები და ხელფასი მიჰქონდა. ხუთნი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ, გაჭირვებით გაჰქონდათ თავი, უმცროსები უფროსების გამონაცვალში იზრდებოდნენ. 15 წლის ვალენტინ ივანოვიც უკვე მუშა იყო.

ხელუკარებები და უქნარები ასეთ ოჯახებში არ იზრდებიან. ასეთ ოჯახში ადამიანი ადრე მწიფდება, ადრე იგებს შრომის ფასს, ადრე შეიცნობს, რომ ბედნიერებისთვის უნდა იბრძოლო, რომ შენივე ხელით უნდა მოიპოვო იგი. და როცა ვლაპარაკობთ, რომ ვალენტინ ივანოვმა სწავლა-განათლება ისე დაასრულა, არც მუშაობა მიუტოვებია, არც ფეხბურთი, რომ იგი მთელი ათი წლის განმავლობაში ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო, რომ იგი დღესაც შედის საქმეში ჩახედული ხალხის მიერ შედგენილ ყველა ევრეთ წოდებულ „სიმბოლურ ნაკრებში", რომ მისი დიდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა, ვალდებული ვართ გვახსოვდეს: ყოველივე ამის უკან დგას მისი მძიმე ბავშვობა, მისი ოჯახი, მისი ადრეული ცხოვრებისეული და შრომაში შეძენილი გამოცდილება.

სხვათა შორის, ამაზე ივანოვი თავის წიგნში თითქმის არაფერს წერს. ეს, ასე ვთქვათ, კადრს მიღმა რჩება. ჩემი აზრით, არ წერს იმიტომ, რომ არ უყვარს, არ იცის და არც სურს ილაპარაკოს თავის ღირსებებზე, თავის დამსახურებაზე, თავის შრომისმოყვარეობაზე. სწორედ ამიტომ მომიხდა მე ამის შესახებ რამდენიმე სიტყვის დაწერა. ვფიქრობ, ეს სიტყვები წიგნის კითხვის დროს დაგეხმარებათ.

### თავი I

### იმაზე, თუ რატომ იყო უწინ ბურთი უფრო დამჯერი

დავიწყებ ბოლოდან ან თითქმის ბოლოდან. ახლა მე მოსკოვის „ტორპედოს" უფროსი ვარ, მაშინ კი უფროსი მწვრთნელი ვიყავი.

როგორც სერგეი მიხალკოვის საბავშვო წიგნშია ნათქვამი, — მე ეს წიგნი ზეპირად ვიცი, რადგან ერთი ასჯერ მაინც წავუკითხე ჩემს ბავშვებს, ჯერ ბიჭს, მერე გოგოს, — „ეს საღამოს მოხდა, ჩვენ საქმე არ გვქონდა". ეს იყო „ტორპედოს" აგარაკზე, სოფელ მიაჩკოვოში, მოსკოვის ახლოს. სადილის შემდეგ საქმე მართლაც არაფერი გვქონდა.

ჩვენ სამნი — მიშა გერშკოვიჩი, გენა შალიმოვი და მე — სახლიდან გამოვედით. რომელიღაცამ თან ბურთი წამოიღო. გართობა ხომ გვინდოდა? საფეხბურთო მინდვრისკენ გავემართეთ. იქვე ახლოს სავარჯიშო იარაღი იყო: რკინის ბოძზე დამაგრებული ერთმეტრიანი მავთულის წრე. მე ბიჭებს შევთავაზე, „საძთა ტურნირი" ჩავატაროთ-მეთქი. პირობები ასეთი იყო: ბოძს დაახლოებით თხუთმეტი მეტრით ვშორდებოდით და იქიდან ბურთს წრეში ვურტყამდით — ვინ მეტჯერ მოახვედრებდა მიზანში.

ტურნირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ოცდაათი თუ ორმოცი დარტყმის შემდეგ იმდენად გავუსწარი ჩემს პარტნიორებს, რომ [illegible] ყოველგვარი აზრი დაეკარგა.

ეს უმნიშვნელო [illegible] კი არ გამიხსენებია, რომ მორალი გამომეტანა: ნახეთ, რა ყოჩაღი ბიჭი ვარ, რა საფეხბურთო ტექნიკა მაქვს-მეთქი. ახლა ჩემზე არაა ლაპარაკი. ხდება ხოლმე, მოჰყვება რომელიმე ფეხბურთის მცოდნე ადამ და ევას დროინდელს: „დიახ, ცხოვრობდა ჩვენს დროში ხალხი! — ვირტუოზები, ბურთის ჯადოქრები, — ახლანდელ კაცებს არ ჰგავდნენ, — პარტნიორი გვერდში რომ ედგეთ, ბურთს ვერ მიაწოდებენ". ასეთ დროს მყისვე მზადაა არანაკლებ ძველი და გაცვეთილი პასუხი: „თქვენი ჯადოქრები ძლივს დაბობღავდნენ მინდორზე, აბა დღევანდელი სისწრაფით ეთამაშათ".

ჩვენც ვცადეთ ერთნაირი სისწრაფით თამაში — 22 წლის გერშკოვიჩმა და 36 წლის ივანოვმა, 1968 წლის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატმა და 1956 წლის ოლიმპიური ნაკრების მოთამაშემ, სხვადასხვა საფეხბურთო ეპოქის ორმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა. ერთმანეთს შევეჯიბრეთ უმარტივესი ტექნიკური ილეთის — 15 მეტრიდან თავზე ბურთის მიწოდებაში.

ვიცი, ერთი მაგალითი, ერთი კერძო შემთხვევა ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ რაღაც კანონზომიერებაზე ილაპარაკო. შეიძლება ასეც განსაჯო: კარგი, ადგილიდან ბურთს ივანოვი გერშკოვიჩზე უკეთ აწვდის, მაგრამ თამაში ხომ მარტო ადგილიდან გადაცემებისგან არ შედგება. იგი მოიცავს უამრავ ტექნიკურ ილეთს და ჯერ კიდევ კაცმა არ იცის, ვინ ვის მისცემს წინასწარ ას ქულას ამ მრავალჭიდში.

იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ არა მგონია.

ხანგრძლივი შუალედის შემდეგ დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა ჩემი ძველი პარტნიორი, თითქმის ჩემი კბილა ედუარდ სტრელცოვი. იმ დროისთვის ჩემი ადგილი მიშა გერშკოვიჩმა და მისმა თანატოლებმა დაიკავეს. ამ წლების განმავლობაში ფეხბურთი ძალიან წინ წავიდა და სისწრაფეც შეიცვალა. მაგრამ მიშას თანატოლებიდან ყველასთვის საოცნებო იყო ბურთით ისე მუშაობა, როგორც მუშაობდა სტრელცოვი, — ბურთის ისე ტარება და დამუშავება, პასის ისე მიწოდება და აღება, კარში ისე დარტყმა, ისე და ისეთი ტემპით.

სტრელცოვი უნიკუმია, სტრელცოვი თვითნაბადი ნიჭია, ასეთი ფეხბურთელისთვის კი არავითარი წესი და კანონი არ არსებობს. კარგით, ამაზეც თანახმა ვარ. მაგრამ რა ვუყოთ მაშინ ვიქტორ შუსტიკოვს? მასზე ვერ იტყვი, დიდი ტალანტი აქვსო, ის მხოლოდ კარგი ფეხბურთელია, მეტი არაფერი, მაგრამ შუსტიკოვიც, 10 წლის წინათ ჩვენთან ერთად რომ თამაშობდა, ტექნიკის თვალსაზრისით მაღლა დგას დღევანდელი ცენტრალური მცველების დიდ უმეტესობაზე და, ცოტა უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, ალბათ ნაკრებშიც შეიყვანდნენ.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა ჩემს თაობას ფეხბურთში დებიუტი ჰქონდა, ჯერ კიდევ თამაშობდნენ 28 წლის ავთანდილ ღოღობერიძე, 36 წლის ნიკოლოზ დემენტიევი და 25 წლის სერგეი სალნიკოვი. ჩვენ, ახალგაზრდებს, მხოლოდ ერთი რამ შეგვეძლო მათზე უკეთ — უფრო მეტი და უფრო ჩქარა სირბილი (რას იზამ, წლებს ვერსად გაექცევი). დანარჩენში ისინი გვჯობდნენ.

რასაკვირველია, მე არ ვცდილობ შეუძლებლის დამტკიცებას, არ ვამბობ, რომ ყველა ახლანდელი ფეხბურთელი თავის წინამორბედებზე ნაკლებად ტექნიკურია, რომ ჩემს დროს საუკეთესო გუნდებში არ იყვნენ მოთამაშეები, რომლებსაც ბურთის მოთვინიერება არ შეეძლოთ. ყველაფერი ხდებოდა. მაგრამ იმაში, რომ ჩვენი ტექნიკური განათლება უფრო მყარი და საფუძვლიანი იყო, რომ ფეხბურთის ანბანს ჩვენ უკეთ ვფლობდით, დარწმუნებული ვარ.

და აი, აქ, მე ვფიქრობ, ღირს დროებით გვერდზე გადავდოთ თეორიული კამათი, ისევ დასაწყისს დავუბრუნდე და საფეხბურთო მინდორზე ჩემი პირველი ნაბიჯების შესახებ გიამბოთ.

ეს მინდორი ავიამოტორნაიაზე, ერთ-ერთ ეზოში იყო. ეზო ჩვეულებრივი გახლდათ, ოთხივე მხრიდან გარს აგურის სახლები ერტყა. მინდორი კი ნამდვილი იყო — კარებიც ჰქონდა და ბალახის საფარიც. ახლა ასეთი მინდვრები ეზოებში ალბათ, საერთოდ აღარ არის, თუმცა ჩემი ბავშვობის დროსაც აქა-იქ თუ იყო შემორჩენილი. აღარც კი მახსოვს, სად უფრო მეტი დრო მაქვს გატარებული, სანამ ასე თხუთმეტისა გავხდებოდი, შინ, სკოლაში, თუ ამ მინდორზე.

ფეხბურთის სიყვარული, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობით გადმომეცა ძმებისგან. ისინიც, უფროსი — ვლადიმერი და შუათანა — ნიკოლაი სამუშაოდან დაბრუნებისთანავე ეზოში მიიჩქაროდნენ, ჩვენი მინდვრისკენ, რომელიც ცარიელი არასდროს რჩებოდა.

(გაგრძელება იქნება)

[illegible]

**✦ ყვარელი**

სოფელ საბუის საშუალო სკოლაში ჩატარდა შიდასაკოლექტივო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ჭაბუკთა შორის პირველობა მოიხვეჭა მეათეკლასელმა ბ. ზუროშვილმა, გოგონებში კი უძლიერესი იყო მეცხრეკლასელი თ. ბექიკოშვილი.

**ი. იორამიშვილი.**

**✦ ზესტაფონი**

მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა შეჯიბრება ფრენბურთში. ფინალში გავიდნენ მე-4 საშუალო სკოლის რუსული და ქართული სექტორების გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები. ჭაბუკებშიც და გოგონებშიც რაიონში უძლიერესის სახელი მოიპოვეს ამ სკოლის რუსული სექტორის მოსწავლეთა ნაკრებმა კოლექტივებმა.

**ა. ბანუგრავა.**

# ფინალის ექვსი საგზურისთვის

## ჭადრაკი

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა XXXV ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 98 მოჭადრაკე, რომელთა შორის არიან ოსტატები ა. ბოკუჩავა, ბ. ბუსლაევი, ა. იზვოზჩიკოვი, თ. კიკიანი, თ. ლომაია, ი. ჩიქოვანი და 30-მდე ოსტატობის კანდიდატი. უკონკურსოდ გამოდიან ოსტატი ქალები — საქართველოს ექს-ჩემპიონი თ. ხუგაშვილი და მ. ჩიბურდანიძე.

ნახევარფინალი შვეიცარიული სისტემით (11 ტური) ტარდება. I-VI ადგილებზე გასულნი ფინალში ითამაშებენ.

ბრძოლა სტარტზევე მძაფრად დაიწყო. I ტურში 49 პარტიიდან ყაიმით მხოლოდ 7 შეხვედრა დასრულდა. სხვათა შორის, ამ შედეგით დამთავრდა ლომაია — ბუსლაევის, პ. ჩხეიძე — ჩიბურდანიძისა და კიკიან — მ. ჯანაშიას პარტიებიც. ოსტატებიდან გაიმარჯვეს ბოკუჩავამ (პ. კონტრიკინთან) და ხუგაშვილმა (ვ. სმირნოვთან).

მიმზიდველი იყო გამოცდილი ოსტატობის კანდიდატების ე. მიქაელიანისა და ო. თურქესტანიშვილის შეხვედრა. დაძაბული პარტიის ბედი ცაიტნოტში გადაწყდა. დაზარალდა თურქესტანიშვილი, რომელსაც დაახლოებით თანაბარ პოზიციაში საათზე ალამი ჩამოუვარდა.

II ტურში ყაიმით ათი შეხვედრა დამთავრდა. ოსტატებიდან გაიმარჯვეს: ბუსლაევმა (დ. ცხოვრებაშვილთან), ლომაიამ (ა. ჩიკვაიძესთან), ჩიქოვანმა (ნ. გოგაძესთან), იზვოზჩიკოვმა (გ. ბარბაქაძესთან). ყაიმით დასრულდა ხუგაშვილ — ბოკუჩავას შეხვედრა, ხოლო ჩიბურდანიძე დამარცხდა ოსტატობის კანდიდატ გ. ხაილენკოსთან.

2 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: გ. ძნელაძე, გ. ვეფხვიშვილი, ნ. ჩახოიანი, ჩიქოვანი, მ. ჭიპაშვილი, დ. ჯაფარიძე, მიქაელიანი, რ. კაპანაძე, ა. რაბადანოვი, ი. ცქიტიშვილი, თ. ხანთაძე, ა. კოტლიარევსკი, დ. ექვთიმიშვილი — 2-2 ქულა.

**ა. ბლაგიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი.



მოსკოვი. შეიარაღებული ძალების პირველობაში ცნობილმა ძალოსანმა ლ. ჟაბოტინსკიმ ატაცში მსოფლიო რეკორდი დაამყარა—185,5 კგ.

ს უ რ ა თ ზ ე: სარეკორდო წონა აღებულია.

(საკდეს).

# სამი პრიზიორი

ამას წინათ ჩიმკენტში გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოების უძლიერესი ათლეტები.

წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის 3 წარმომადგენელი. ვ. მიქელაძემ (90 კგ) I ადგილი მოიპოვა, ხოლო მ. მეკოკიშვილი (100 კგ) და თ. გოგორიშვილი (მძიმე) II ადგილებს დასჯერდნენ.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ დამტკიცდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების კანდიდატთა სია, რომელშიც მოხვდა სამივე ჩვენი ათლეტი. ახლა ისინი გულმოდგინედ ემზადებიან ახალგაზრდობის საკავშირო პირადი პირველობისთვის, რომელიც მარტის პირველ ნახევარში ალმა-ათაში ჩატარდება.

# ორ თარიღს მიეძღვნა



გაისად სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებშიც გაიმართება. საქართველოს დოსააფის ორგანიზაციები საამისოდ მზადებას უკვე შეუდგნენ. ამას წინათ რუსთავში, იალღუჯის მთის ფერდობებზე, გაიმართა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 56 და საბჭოთა საქართველოს 53 წლისთავისადმი მიძღვნილი ასპარეზობა მოტოკროსში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ხაშურის, ცხაკაიას, მახარაძის, სამტრედიის ავტო-მოტოკლუბების, აგრეთვე, სოხუმის, გარდაბნის, ქობულეთისა და ამიერკავკასიის არმიელთა სპორტტექნიკური კლუბების გუნდები.

ყოველ კოლექტივში ორი უფროსი ასაკისა და თითო მოზარდი სპორტსმენი იყო. სიღნაღის, ახალციხის, ზესტაფონისა და თელავის ავტო-მოტოკლუბებმა მთლიანად დაკომპლექტებული გუნდები ვერ გამოიყვანეს.

შეჯიბრებამ დაგვანახვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მოტოკროსის განვითარებაში ერთგვარი წინსვლა იგრძნობა, მაგრამ დოსააფის ყველა რაიონული კომიტეტის საქმიანობაზე ამას ვერ ვიტყვით.

ასპარეზობისთვის ყველაზე კარგად დაკომპლექტებული გუნდი გამოიყვანა სოხუმის ავტო-მოტოკლუბმა, რომლის წევრებმა ე. ტოპოლიანმა, ი. კაჭარავამ და მ. მიქაელიანმა 12 საჯარიმო ქულით პირველობა მოიპოვეს. II ადგილი ხვდა ქუთაისის გუნდს — 17 ქულა, III — თბილისის არმიელთა სპორტკლუბის კოლექტივს — 20.

პირად შეჯიბრებაში პრიზიორები გახდნენ: 175-ანებით რბოლაში მოზარდთა შორის — ე. ტოპოლიანი, ა. იუსუბოვი (ქუთაისი), ვ. ნიკოიანი (გარდაბანი), ვაჟთა შორის — თ. ნიკურაძე, ვ. მანუკიანი, რ. კარიმოვი (ყველა — თბილისის ასკ). 350-ანებით რბოლა მოიგო სპორტის ოსტატმა გ. ბეგიაშვილმა (თბილისი), II ადგილი ხვდა ი. ტერეშენკოს (თბილისი — ასკ), III — ს. ნალივაიკოს (ქუთაისი).

**ო. კიკნაველიძე,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

რუსთავი.

* * *

**სურათებზე:** ზემოთ — გ. ბეგიაშვილი დისტანციაზე; ქვემოთ — ასპარეზობას სტარტი მიეცა.

**ხ. ვართანიანცის ფოტოები.**



## კვლავ ლიდერობს ალექსანდრია





კისლოვოდსკში გრძელდება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის ოთხი პრიზიორის დამატებითი მატჩ-ტურნირი პრეტენდენტის ორი საგზურისთვის.

გუშინწინ, VII ტურში ნ. შულმა (ლვოვი) სძლია ხ. კონოპლიოვას (მოსკოვი). ნ. ალექსანდრიამ (თბილისი), როგორც 27 თებერვლის „ლელოში“ ვიუწყებოდით, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ი. ლევიტინასთან (ლენინგრადი).

გუშინ, VIII ტური მოეწყო. ყურადღების ცენტრში იყო ალექსანდრია — შულის შეხვედრა. პოზიციურ ჭიდილში ალექსანდრიამ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და გაიმარჯვა, კარგად ითამაშა ლევიტინამაც. მან კარგად გამოიყენა კონოპლიოვას შეცდომები და შეხვედრა მოიგო.

8 ტურის შემდეგ ალექსანდრიას 6 ქულა აქვს, ლევიტინას — 5, შულს — 4, კონოპლიოვას — 1.

2 მარტს გაიმართება IX ტური. ალექსანდრია შეხვდება კონოპლიოვას, ლევიტინა — შულს.

## ჯარიმების გამო





სანკტ-მორიციდან და ფალუნიდან მსოფლიო ჩემპიონატის ესტაფეტა მიიღო „რაუბიჩის“ სპორტულმა კომპლექსმა, რომელიც მინსკის მახლობლად მდებარეობს. აქ ბრძოლაში ჩაებნენ აშშ-ს, ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, იტალიის, მონღოლეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ბიატლონისტები.

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. კოლოკოლოვი. თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ს. ტოფელტმა (შვეცია) შეჯიბრება გახსნილად გამოაცხადა.

„მსროლელ მოთხილამურეთა“ პირველი ოქროს მედალი იუნიორებმა გაითამაშეს 15 კილომეტრზე ასპარეზობაში. ყველას აჯობა ამ შეჯიბრების დებიუტანტმა, ნოვოსიბირსკის არმიელმა, 20 წლის ს. ხოხულიამ. სამ საცეცხლე პოზიციაზე სროლასა და დისტანციის გავლას მან 58.06,35 მოანდომა (ერთი საჯარიმო წუთი).

რბოლაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა 22 წლის ფინელ კ. კუნტოლას, მაგრამ იმის გამო, რომ სროლაში 4 წუთით დაჯარიმდა, საბოლოოდ იგი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი ერგო სსრ კავშირის გუნდის მეორე წევრს ს. ბელოლიპეცკის, რომელმაც ფინელთან წამის მეასედი წააგო.

## პრესტიჟის მატჩები

გაიმართა ევროპის კალათბურთელთა ტურნირების მორიგი მეოთხედფინალური მატჩები.

### ჩემპიონთა თასი

ვაჟთა I ჯგუფის ლიდერების — იტალიის „ინისისა“ და საფრანგეთის ას „ბერკის“ ბრძოლას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ორივე გუნდს მოპოვებული აქვს ნახევარფინალის საგზური. და მაინც, პრესტიჟის ეს თავისებური მატჩი საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

იტალიელები შინ თამაშობდნენ, რის გამოც უფრო აგრესიული და მონდომებული იყვნენ, მაგრამ ტაიმის შემდეგ მხოლოდ 10-ქულიანი უპირატესობა ჰქონდათ (45:35). ამ 10 ქულას შესვენების შემდეგ მათ კიდევ 9 დაუმატეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 89:70.

II ჯგუფში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, გარკვეულია მხოლოდ ერთი ნახევარფინალისტის ვინაობა. ესაა ესპანეთის „რეალი“. მეორე საგზურის ორ პრეტენდენტს — იუგოსლავიის „რადნიჩკისა“ და ავსტრიის „ვინერბერგერს“ დარჩენილი აქვთ შეხვედრები შესაბამისად ბულგარეთის „აკადემიკთან“ და „რეალთან“.

სწორედ ამ გუნდების პირველი მატჩები გაიმართა ამას წინათ. „რადნიჩკიმ“ დაამარცხა „აკადემიკი“ — 104:86 (51:39), „რეალმა“ კი — „ვინერბერგერი“ 98:66 (49:23). „რადნიჩკის“ შანსები, როგორც ხედავთ, უკეთესია, მით უმეტეს, რომ მას მოგებული აქვს ბრძოლა „ვინერბერგერთან“ და განმეორებითი მატჩის წაგების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს ნახევარფინალში გასვლის შანსს.

ქალთა I მეოთხედფინალურ ჯგუფში არის ერთი ფავორიტი და ორი პრეტენდენტი. ფავორიტია ტტტ, რომელმაც ამას წინათ პრესტიჟის მატჩი მოუგო უნგრეთის მტკ-ს 55:40 (26:14). მეორე საგზურისთვის ბრძოლაში რუმინეთის ჩემპიონმა „პოლიტექნიკამ“ დაამარცხა იტალიის „სტანდა“ მისსავე მოედანზე 70:56 (32:29). ეს წარმატების რეალური განაცხადია.

II ჯგუფის ლიდერმა საფრანგეთის „კლერმონ-ფერანმა“, როგორც მოსალოდნელი იყო, მოუგო ჩეხოსლოვაკიის „სლავიას“ — 92:70 (46:31). საფრანგეთის ჩემპიონს, რომ იტყვიან, თავი ქუდში აქვს. რაც შეეხება მეორე პრეტენდენტს, ჯერჯერობით უკეთესი მდგომარეობა აქვს ბულგარეთის „მარიცას“, რომელმაც შინ დაამარცხა პოლონეთის ლკს 13 ქულით — 66:53 (33:27). ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ამ კოლექტივების განმეორებით შეხვედრაზე, რომელიც ლოძში გაიმართება. თუ პოლონელებმა შეძლეს მატჩის მოგება 14 ან მეტი ქულით, ნახევარფინალში გავლენ, თუ არა და, გზა უნდა დაუთმონ ბულგარელებს.

### თასების მფლობელთა თასი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ვაჟთა I მეოთხედფინალური ჯგუფიდან ტურნირის შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდამ“ და იტალიის „საკლიამ“. ამას წინათ შედგა ეგრეთ წოდებული პრესტიჟის მატჩი ამ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს იუგოსლაველმა კალათბურთელებმა — 93:86 (46:38).

II ჯგუფიდან ასპარეზობას განაგრძობენ რუმინეთის „სტიაუა“ და ჩეხოსლოვაკიის „ზბროიოვკა“. ამიტომაც რუმინეთისა და ესპანეთის („ესტუდიანტესი“) თასების მფლობელთა მატჩის შედეგს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. და მაინც, გაიმარჯვა „სტიაუამ“ — 83:76 (36:37).

### სენსაცია

ინგლისის ლიგის თასის გათამაშების პარალელურად გრძელდება შეჯიბრება ინგლისის თასზე. IV წრის დიდი სენსაცია იყო ქვეყნის რვაგზის ჩემპიონის — ლონდონის „არსენალის“ დამარცხება II ლიგის კლუბ „ასტონ ვილასთან“. პირველი მატჩი ლონდონში ფრედ დამთავრდა — 1:1, ბირმინგემში კი გაიმარჯვა „ასტონ ვილამ“ — 2:0.

● ●

### აფრიკის თასზე

ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის აფრიკის თასის გათამაშების მონაწილე კოლექტივები დაყოფილი არიან 2 ჯგუფად. „ა“ ჯგუფში მოხვდნენ ეგვიპტე, უგანდა, ზამბია და სპილოს ძვლის ნაპირი, ხოლო „ბ“ ჯგუფში — ზაირი, მაროკო, ტუნისი და განა.

ჯგუფებში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან გადამწყვეტ მატჩებში.

● ●

### უეფა-ს ცნობით

უეფა-ს აღმასკომმა გამოაცხადა, რომ საბოლოოდ დადგენილია ევროპის ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატის მატჩების თარიღები. იტალიისა და გდრ-ის გუნდები ერთმანეთს ხვდებიან 27 თებერვალს და 17 აპრილს, ჰოლანდიელები და უნგრელები — 13 მარტს და 17 აპრილს, ბულგარელები და პოლონელები — 13 მარტს და 10 აპრილს, საბჭოთა ფეხბურთელები და ჩეხოსლოვაკიელები — 10 და 17 აპრილს.

● ●

### 2 მარტს „უემბლიზე“...

2 მარტს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართება ინგლისის ლიგის თასის გათამაშების ფინალი. ერთმანეთს ხვდებიან „მანჩესტერ სიტი“ და „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“.

„მანჩესტერ სიტიმ“ ნახევარფინალში სძლია „პლიმუტს“ — 1:1 და 2:0, ხოლო „ვულვერჰემპტონმა“ დაამარცხა „ნორვიჩ სიტი“ — 1:0 და 1:1.

# 0:0

**რომი, 26 თებერვალი.** საერთაშორისო საფეხბურთო სამყარო დიდი ინტერესით ელოდა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს, რომელიც რომის ოლიმპიურ სტადიონ „ფორო-იტალიკოზე“ შედგა. ერთმანეთს შეხვდნენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები, ევროპის ჩემპიონები — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები და 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი — იტალიის ნაკრები.

მატჩის შესვენებამდე საერთო ინიციატივა იტალიელებს ეპყრათ, რომელთა რიგებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა ცენტრფორვარდი ჩინალია. მეორე ტაიმში გერმანელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში და რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. სტუმართაგან განსაკუთრებით ძლიერად ითამაშეს ბეკენბაუერმა და ნეცერმა.

90 წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.



რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04475

ეროვნული ბიბლიოთეკა